დანართი No. 1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

განათლების მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2024 წლის 15 თებერვალი

თბილისი

Contents

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამი შესაბამისობა 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 16

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 22

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 26

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 34

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ [1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი ა(ა)იპ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404987332
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქეთევან აფთარაშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიამ ბანძელაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ლეკიშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლიანა ზაგაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი (სტუდენტი ექსპერტი)

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	განათლების მეცნიერება
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Education Science
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა, III
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	განათლების მეცნიერების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0111 განათლების მეცნიერება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-

[2]თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

[3](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

განათლების მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილია, როგორც ახალი პროგრამა. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი (NVU) ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს სამართალში, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებსა და მედიცინაში. „განათლების მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენა იქნება ინგლისური. შემოთავაზებული პროგრამა აგებულია კოჰორტულ სისტემაზე, „რაც გულისხმობს კონკრეტულ სფეროში აკადემიური ხარისხის მქონე პროფესიონალების განვითარებას, განათლების სფეროში სწავლებისა და კვლევის უნარ-ჩვევების უზრუნველყოფას“, (თვითშეფასების ანგარიში გვ. 4). მიჩნეულია, რომ ახლად ჩარიცხული სტუდენტებს ექნებათ კომპეტენციები კონკრეტულ დარგში და ამის საფუძველზე ისინი სისტემატურად შეიძენენ ცოდნას განათლების მეცნიერების სფეროში, ისევე როგორც კონკრეტულ სასწავლო და კვლევის ინსტრუმენტებს. საწყის ეტაპზე კონცენტრაცია იგეგმება ისეთ სფეროებსა და მიმართულებებზე, რომლებშიც ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს უკვე აქვს საგანმანათლებლო პროგრამები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სააკრედიტაციო ვიზიტი შედგა 2023 წლის 7 დეკემბერს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ორი მოსამზადებელი ონლაინ შეხვედრა NCEQE-ის თანამშრომლებთან ერთად, სადაც განიხილეს და დააზუსტეს პროცედურული, ასევე შინაარსთან დაკავშირებული და სხვა საკითხები.

2023 წლის 7 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფმა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში შეხვედრები სხვადასხვა ჯგუფის/პოზიციის წარმომადგენლებთან ჩაატარა. ესენი იყვნენ: თვითშეფასების ჯგუფის წევრები, პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, NVU-ს რექტორი და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, უკვე არსებული პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა, მოენახულებინა ის სივრცეები, რომელსაც ახლად შეთავაზებული პროგრამისთვის გამოიყენებენ.

აკრედიტაციის ვიზიტი კარგად ორგანიზებული იყო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შეხვედრაზე დასწრება არ იყო მაღალი (მიუხედავად იმისა რომ წინასწარ იყო დაგეგმილი) - ძირითადად ეს შეეხო სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და ასევე დამსაქმებლებთან შეხვედრებს. დაბალი დასწრება შეინიშნებოდა იმის მიუხედავად, რომ შესაძლებელი იყო შეხვედრის ჰიბრიდულ ფორმატში ჩატარებაც. შესაბამისად, ამ სესიებზე მონაცემთა შეგროვება შეზღუდულად მოხდა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

განათლების მეცნიერებაში შემოთავაზებულ სადოქტორო პროგრამას ექსპერტთა ჯგუფი შემდეგნაირად აფასებს:

---

[4]პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სტანდარტები 2, 4 და 5 – მოთხოვნებთან შესაბამისობაშია; სტანდარტი 3 - მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია; სტანდარტი 1 - ნაწილობრივი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფი მთავარ განსახილველ საკითხად მიიჩნევს შემოთავაზებული პროგრამის კურიკულუმს (კერძოდ 1.4 და 1.5 ქვესტანდარტების ნაწილში). საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა 9 რეკომენდაცია და 4 რჩევა, რომელიც დაკავშირებულია შემოთავაზებული პროგრამის სხვადასხვა ასპექტთან.

- **რეკომენდაციები**

- დარწმუნდით, რომ პროგრამის მიზნები კონკრეტულად ასახავს განათლების მეცნიერების პროგრამის სპეციფიკას.
- დარწმუნდით, რომ პროგრამის მიზნები კონკრეტულად აყალიბებს ურთიერთკავშირს განათლების მეცნიერებასა და სტუდენტის/სტუდენტების ნაკადის წინა სასწავლო სფეროს შორის.
- დარწმუნდით, რომ პროგრამის ყველა სწავლის შედეგი გაღრმავებულია სამივე დონეზე.
- შეფასების მექანიზმი უნდა დაკონკრეტდეს განათლების მეცნიერების პროგრამის კონტექსტში, განსაკუთრებით პროგრამის ეტაპებისა და მიღწევების გაუმჯობესების კუთხით.
- ჩამოაყალიბეთ პროგრამაზე უფრო მეტად მორგებული, კონკრეტულად ამ პროგრამის შესაბამისი (პირდაპირი შეფასების კუთხით და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის თვალსაზრისით) მექანიზმები მოდულის/პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის.
- შეასწორეთ ტექნიკური შეცდომები შეფასების გეგმაში.
- განათლების მეცნიერებათა საფუძვლები უნდა იყოს პროგრამის სასწავლო გეგმის ბირთვი, რომლის საფუძველზეც, კურიკულუმში, განათლების კვლევისა და სწავლების მეთოდოლოგია შეიძლება განვითარდეს რეალისტურად და ადეკვატური ხარისხით, რაც უაღრესად მიზანშეწონილი კომპონენტი იქნება მათთვის, ვინც პროგრამაში ჩაირიცხა განათლების მაგისტრის ხარისხის გარეშე.
- იმ სტუდენტების სწავლის შემთხვევაში, რომლებსაც არ აქვთ მაგისტრის ხარისხი განათლებაში, გადააწყვეთ სასწავლო გეგმა ისე, რომ სტუდენტებს ჯერ ჰქონდეთ საშუალება ისწავლონ ძირითადი განათლების მეცნიერების სასწავლო კურსები, როგორიცაა ზოგადი განათლება, განათლების თეორია, ზოგადი დიდაქტიკა, შედარებითი განათლება, განათლების ისტორია, შემდეგ კი ამის საფუძველზე მიაწოდოთ სტუდენტებს კვლევასთან და სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული კურსები.
- დარწმუნდით, რომ აპლიკანტებს, რომლებსაც გავლილი აქვთ განათლების სფეროსგან განსხვავებული სამაგისტრო პროგრამა, მოეთხოვებოდეთ სხვა სახის რელევანტური გამოცდილება, როგორიცაა საგანმანათლებლო კვლევაში ჩართულობა.
- დარწმუნდით, რომ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მის ყველა ძირითად ასპექტს, მათ შორის თანახელმძღვანელობას.
- რეკომენდებულია, რომ სადოქტორო პროგრამაში არსებობდეს სავალდებულო თანახელმძღვანელობის უფრო ძლიერი კომპონენტი. შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამის ინტერდისციპლინურობის გათვალისწინებით, სტუდენტებისთვის უაღრესად მომგებიანი იქნება, ჰყავდეთ ხელმძღვანელი განათლების მეცნიერებათა სფეროდან და თანახელმძღვანელი სადისერტაციო თემის შესაბამისი სფეროდან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- დარწმუნდით, რომ დაინტერესებული მხარეები ადეკვატურად და რეალურად არიან ჩართულნი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში.
- დარწმუნდით, რომ სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებულნი პლაგიატის საკითხებზე და იციან როგორ გაუმკლავდნენ მას სწავლისა და კვლევის დროს.
- დარწმუნდით, რომ ყველა სტუდენტი საკმარისად არის ინფორმირებული საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ, მათ შორის, მობილობებში.
- მიზანშეწონილია, რომ პროგრამის ხელმძღვანელს მეტი დრო ჰქონდეს პროგრამის სრულად გათავისებისთვის და დეტალების გასაცნობად.
- სასურველია, დაინტერესებულ მხარეთა უფრო ფართო ჩართულობის ხელშეწყობა პროგრამის შემუშავებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ყველა ეტაპზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**
- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**
- ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია და გადაწყვიტა შეეცვალა დასკვნის პროექტის გარკვეული ნაწილები. კონკრეტულად, პირველი სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობასია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. 9 რეკომენდაციის ნაცვლად განისაზღვრა 11 რეკომენდაცია, ხოლო რჩევების საერთო რაოდენობა – 4–დან 5–მდე.
- ექსპერტთა ჯგუფი კვლავ სკეპტიკურად უყურებს პროგრამაზე დაშვების ტენდენციას მათთვის, ვინც არ არის განათლების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, აპლიკანტებს უნდა მოეთხოვოთ საგანმანათლებლო კვლევებში წარმატებული მონაწილეობა პროგრამაზე დაშვებამდე და რეკომენდაციას უწევს, ასეთმა სტუდენტებმა პროგრამის ფარგლებში შეინარჩუნონ შინაარსობრივი მოდული, რომელიც მათ საფუძვლიანად გააცნობს განათლების მეცნიერების ძირითად დისციპლინებს. შესაბამისად, ანგარიშში ცვლილებები ძირითადად ეხება 1.4, 1.5 და 2.1 კომპონენტებს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არ ეხება

[5]პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამი შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შემოთავაზებული პროგრამის მიზნები შეესაბამება ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ძირითად ორგანიზაციულ კატეგორიებსა და დოკუმენტებს, კერძოდ მისიას, ხედვას და სტრატეგიულ გეგმას. დაწესებულების მისიის დებულება შემდეგნაირად ჟღერს: „ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოება განათლების, კვლევისა და სიახლის დანერგვის ხელშეწყობით. უნივერსიტეტი ახალისებს ინდივიდს, დახვეწოს და გააზიაროს ცოდნა, უნარები და ღირებულებები საზოგადოების საკეთილდღეოდ. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი იზიარებს სოციალურ პასუხისმგებლობას და ასევე ხელს უწყობს განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობებს სტუდენტებისათვის მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან“ (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 7). ხედვა, სხვა საკითხებთან ერთად, ხაზს უსვამს „ღია, ინოვაციურ და თანამშრომლობით გარემოს, რათა სტუდენტთა ჩართულობით წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე“ (თვითშეფასების ანგარიში გვ.7). მისია და ხედვა მართებულად არის მიმართული უნივერსიტეტის სამივე საყრდენზე - სწავლებაზე, კვლევასა და სოციალურ როლზე.

პროგრამის მიზნები, თუკი ისინი უფრო მეტად დაკონკრეტდება, შეიძლება ჩაითვალოს საგანმანათლებლო დარგის (განათლების მეცნიერება) და დოქტორანტურის დონის შესაბამისად. მთლიანობაში, ზოგადად, ისინი გარკვეულწილად ლოგიკურად არის აგებული და ასევე დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან.

კონკრეტულად პროგრამისთვის, ამ შემთხვევაში განათლების მეცნიერების პროგრამისთვის, პროგრამის მიზნები მეტად განზოგადებულადაა ჩამოყალიბებული. ისინი მოიცავს აქცენტს სოციალურ საჭიროებებზე, ინტერდისციპლინურ კვლევაზე, არსებული ცოდნის სწავლებაზე, კვლევის ახალ მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე, ინდივიდის თავისუფალ განვითარებასა და ინოვაციური ცოდნის გამომუშავებაზე. ასევე, ისინი მიუთითებენ თანამშრომლობის, კვლევის კონცენტრაციის, კრეატიული პრობლემების გადაჭრის, ეფექტურობის, თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობის, მიუკერძოებლობის, ეთიკური ლიდერობის, ინოვაციების, კეთილსინდისიერების, ღიაობის, ანგარიშვალდებულების, უსაფრთხოების, სოციალური ჩართულობის ღირებულებებზე. პროგრამის მიზნები ასევე მოიცავს სტუდენტების მომზადებას აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების მიწოდებით. საერთო ჯამში, კონკრეტულად განათლების მეცნიერების (დოქტორანტურის დონეზე) დარგისთვის შესაბამისი, უფრო მკაფიოდ გამოხატული ამბიციები მეტ სარგებელს მოუტანდა პროგრამის მეტად დაკონკრეტებას (განათლების მეცნიერებაზე დაყრდნობით). გარდა ამისა, გაცხადებული განზრახვა, რომ ყურადღება გამახვილდეს სტუდენტთა ნაკადის (ინდივიდუალური სტუდენტის) პროფესიულ გამოცდილებასა (მაგ.: სამართალი, მედიცინა და ა.შ.) და განათლების მეცნიერებას შორის სინერგიებზე (დადებით

კავშირებზე), არ არის საკმარისად კონკრეტულად ჩამოყალიბებული ამ ნაწილში; იგივე შეიძლება ითქვას სადოქტორო სწავლებისა და კვლევის ინტერდისციპლინურობის წახალისების გეგმაზეც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არც ისე ნათლად არის ნათქვამი, რომ პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებს განუვითაროს ქართულ და განსაკუთრებით უცხოურ აკადემიურ ლიტერატურაზე დაფუძნებული განათლების მეცნიერებათა თეორიის ღრმა გაგება; ასწავლოს სტუდენტებს, როგორ დაგეგმონ, განახორციელონ და გააანალიზონ ემპირიული გამოკითხვები, როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი ხასიათის; წინა მიზნების შესრულების საფუძველზე, განავითაროს სტუდენტების უნარი წერონ მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც გამოქვეყნდება საერთაშორისოდ აღიარებულ ჟურნალებში; და მისცეს სტუდენტებს აკადემიური უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს მათ თანამშრომლობას წამყვან სამეცნიერო ექსპერტებთან და მათ გუნდებთან, როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში. როგორც წესი, ესენი არის განათლების მეცნიერების სადოქტორო პროგრამების ძირითადი მიზნები და ცოტა რთულია მათი ნათლად პოვნა შემოთავაზებული პროგრამისთვის ჩამოყალიბებულ მიზნებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- დარწმუნდით, რომ პროგრამის მიზნები კონკრეტულად ასახავს განათლების მეცნიერების პროგრამის სპეციფიკას.
- დარწმუნდით, რომ პროგრამის მიზნები კონკრეტულად აყალიბებს ურთიერთკავშირს განათლების მეცნიერებასა და სტუდენტების/სტუდენტების ნაკადის წინა სასწავლო სფეროს შორის.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.1 პროგრამის მიზნები	☐	**x**	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შემოთავაზებული პროგრამის სწავლის შედეგები დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები დაყოფილია სამ ჯგუფად და შემდგომ უფრო ვრცლად არის ჩამოყალიბებული.

პროგრამის სწავლის შედეგების ჯგუფებია: (1) ცოდნა და გაცნობიერება; (2) უნარები; და (3) პასუხისმგებლობა და ავტონომია. რაც შეეხება „ცოდნასა და გაცნობიერებას“, მართებულად არის ხაზგასმული, რომ სტუდენტ(ებს) უნდა შეეძლოთ კრიტიკულად აღწერონ განათლების როლი და პოტენციალი და მისი მნიშვნელობა საზოგადოებისთვის, შეაფასონ ამ სფეროში უახლესი მიღწევები, გაიაზრონ პუბლიკაციის მოთხოვნები და იცოდნენ ტექსტის დაწერა. სტუდენტ(ებ)ს ასევე უნდა შეეძლოთ სწავლებისა და კვლევის მეთოდების მიმოხილვა, ჩამოთვლა და გარჩევა, ასევე კრიტიკულად აზროვნება განათლების სფეროში არსებულ რთულ პრობლემებზე.

ჯგუფში „უნარები“ ძირითადად მითითებულია დაგეგმვა, ინოვაციური კვლევის ჩატარება, კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, პრობლემის გადაჭრა და პუბლიკაციის მომზადება. ასევე, ხაზგასმულია, შესაბამის აკადემიურ წრეებთან ურთიერთობის დამყარება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ჯგუფში „პასუხისმგებლობა და ავტონომია“ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დამოუკიდებელ კვლევასა და კრიტიკულ აზროვნებას, ასევე პრობლემების ინოვაციურ გადაჭრას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების აქტიურ დაცვასთან ერთად.

ვთანხმდებით, რომ ამ ფორმით, პროგრამის სწავლის შედეგების სამი ჯგუფი ქმნის მეტნაკლებად კომპლექსურ მთლიანობას, რომელიც მოიცავს შემოთავაზებული პროგრამის კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვან თვისებებს. ისინი მიღწევადია, რეალისტური და მათი გაზომვა შესაძლებელია. ასევე, ისინი უკავშირდება მისანიჭებელ კვალიფიკაციას (განათლების დონეს).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	x	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი განსაზღვრულია.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მუშაობს სწავლის შედეგების შემუშავების სამი დონით, კერძოდ, სასწავლო გეგმის რუკაზე და სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების გადაკვეთაზე გამოყოფილია (1) გაცნობა, (2) გაღრმავება და (3) განმტკიცება. გარდა ზემოაღნიშნულისა, აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს დისერტაციის დასრულებისა და დაცვის შეფასება.

მთლიანობაში, დაგეგმილია როგორც პირდაპირი შეფასების მეთოდების (სწავლის/კვლევის შედეგების შეფასება) ასევე არაპირდაპირი (დოქტორანტების გამოკითხვა, ურთიერთშეფასება) შეფასების მეთოდების გამოყენება. თითოეული სწავლის შედეგისთვის დაგეგმილია სამიზნე ნიშნულის დადგენა. ასევე გათვალისწინებულია შეფასების განხორიელება პროგრამის კონკრეტული ეტაპების შემდეგ და შესაძლო ცვლილებების/გაუმჯობესებების დაგეგმვა. ამან შეიძლება გამოიწვიოს გაუმჯობესება, მაგრამ საჭიროა მეტი დაზუსტება შემოთავაზებული პროგრამის კონტექსტში, ვინაიდან, ეს ნაწილი აღწერილია ზოგადად და სხვა პროგრამებთან მიმართებით უკვე არსებული გამოცდილების მითითებით. მიზანშეწონილია კონკრეტულად ამ პროგრამაზე მორგებული მიდგომა.

კერძოდ, მოდულებში სამიზნე ნიშნულებისა და პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისთვის გაუსის ნორმალური განაწილების გამოყენება შეიძლება ეფექტური არ იყოს შერჩევის მცირე ზომის გამო (მაქსიმუმ 10 სტუდენტი, როგორც უნივერსიტეტის მიერ არის ნათქვამი), რამეთუ ამ მიდგომის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ საჭიროა შერჩევის უფრო დიდი ზომა, რათა შედეგი იყოს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და ღირებული გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი იყენებს სწავლის შედეგების შეფასების სხვა არაპირდაპირ მეთოდებს, რომლებიც ეფექტურია და მიჰყვება პროგრამის მუდმივი შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესს. შესაბამისად, ექსპერტთა აზრით, ეს პროგრამა მეტ სარგებელს ნახავს, თუ შემუშავდება პროგრამაზე უფრო მეტად მორგებული, პროგრამისთვის სპეციფიკური მექანიზმები (პირდაპირი შეფასების და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის თვალსაზრისით) მოდულის/პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად.

გარდა ამისა, როგორც ეს რეკომენდებულია აკრედიტაციის სტანდარტებით, ასევე „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ“ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დებულებით, „თითოეული სწავლის შედეგი უნდა გაღრმავდეს სამ დონეზე – სასწავლო გეგმის რუკაზე, სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების გადაკვეთაზე უნდა აღინიშნოს, რომელ დონეზე ხდება პროგრამის სწავლის შედეგის გაღრმავება – გაცნობა (1), გაღრმავება (2), განმტკიცება (3)“. აღსანიშნავია, რომ განათლების მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა (პროგრამის სწავლის შედეგების რუკა) ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის დებულებაში მოცემულ ამ განაცხადს, ასევე აკრედიტაციის სტანდარტებს და კონკრეტული სწავლის შედეგის მოპოვების/მიღწევის ზოგად ლოგიკას. კერძოდ, პროგრამის 1-ელი სწავლის შედეგი გაღრმავებულია მხოლოდ 1-ელ (გაცნობა) და მე-3 (განმტკიცება) დონეზე; ხოლო მე-5 სწავლის შედეგი გაღრმავებულია მხოლოდ მე-2 (გაღრმავება) და მე-3 (განმტკიცება) დონეზე.

„პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში“ არის მცირე ტექნიკური შეცდომა - თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის განსაზღვრულ ვადებში არის ცხრა სწავლის შედეგის შესაფასებელი პერიოდი, მაშინ როცა პროგრამა მოიცავს მხოლოდ რვა სწავლის შედეგს.

მიუხედავად იმისა, რომ NVU-ს აქვს შრომის ბაზრის საკმაოდ ვრცელი კვლევა ჩატარებული, პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების, როგორც შრომის ბაზრის წარმომადგენლების ჩართულობა, არ დადასტურდა გასაუბრების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- დარწმუნდით, რომ პროგრამის ყველა სწავლის შედეგი გაღრმავებულია სამივე დონეზე.
- შეფასების მექანიზმი უნდა დაკონკრეტდეს განათლების მეცნიერების პროგრამის კონტექსტში, განსაკუთრებით პროგრამის ეტაპებისა და მიღწევების გაუმჯობესების კუთხით.
- ჩამოაყალიბეთ პროგრამაზე უფრო მეტად მორგებული, კონკრეტულად ამ პროგრამის შესაბამისი (პირდაპირი შეფასების კუთხით და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის თვალსაზრისით) მექანიზმები მოდულის/პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის.
- შეასწორეთ ტექნიკური შეცდომები შეფასების გეგმაში.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- დარწმუნდით, რომ დაინტერესებული მხარეები ადეკვატურად და რეალურად არიან ჩართულნი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	x	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამა მომზადებულია უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დებულების შესაბამისად. საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული (2022 წლის 3 მარტის მდგომარეობით) ააიპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დებულების მე-17 მუხლი ადგენს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და აკრედიტაციის პროცესში წარდგენის წინაპირობებს და პროცესს. შემოთავაზებული პროგრამა შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს მოთხოვნებს და სწავლის შედეგები შეესატყვისება VIII დონით გათვალისწინებულ ცოდნას და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიას.

პროგრამა მომზადებულია სტუდენტების იმ ნაკადისთვის (ერთი ნაკადი 10-მდე სტუდენტისგან შედგება), რომელთაც აქვთ მაგისტრის ხარისხი განათლების მეცნიერებისგან განსხვავებულ სხვადასხვა დისციპლინაში. პროგრამა იყოფა ეგრეთ წოდებულ სასწავლო კომპონენტად და კვლევით კომპონენტად, დოქტორანტურის ზოგადი წესების შესაბამისად. სასწავლო კომპონენტი შეიცავს სამ სავალდებულო დისციპლინას - კვლევითი ინსტრუმენტები სადოქტორო კვლევისთვის (პირველი სემესტრი, 15 კრედიტი), სწავლების მეთოდები და სტრატეგიები (პირველი სემესტრი, 15 კრედიტი) და სემინარი I (იწყება მეორე სემესტრიდან). არ არის მოცემული სავალდებულო „დამაკავშირებელი“ ელემენტი (დისციპლინა ან დისციპლინათა ბლოკი) რაც სტუდნტებისთვის შეავსებდა განათლების მეცნიერების ცოდნის ნაკლებობას. თითქოს ზოგიერთ დისციპლინას (მეორე სემესტრიდან) აქვს ამის ამბიცია (განათლების სოციოლოგია, საგანმანათლებლო პოლიტიკა, განათლების ფილოსოფია), თუმცა ეს მხოლოდ არჩევითი საგნებია და მათ არ აქვთ პოტენციალი რომ სრულად მოიცვან განათლების მეცნიერების აუცილებელი საფუძვლები (ცოდნის ბაზა, რომელიც დაკავშირებულია ძირითად საგანმანათლებლო ცნებებთან, თეორიებთან, კვლევები ძირითად დისციპლინებში როგორიცაა ზოგადი განათლება, განათლების თეორია, ზოგადი დიდაქტიკა, შედარებითი განათლება, განათლების ისტორია, საგანმანათლებლო კვლევის მეთოდოლოგია). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩარიცხულ სტუდენტებს არ აქვთ განათლების მეცნიერებაში აკადემიური გამოცდილება (მათ უბრალოდ მოეთხოვებათ „სასწავლო დაწესებულებაში მუშაობის 3 წლიანი

გამოცდილება“), ეს საკმარისი არ არის. ამგვარად, სტუდენტებს ხელი ეშლებათ, რომ განათლების მეცნიერების ვრცელი დარგი საკმარისი სიღრმით შეისწავლონ. თუკი გავითვალისწინებთ, რომ არ არსებობს იმის გარანტია, რომ სტუდენტები განათლების მეცნიერებაში საკმარისად ძლიერ საფუძველს მიიღებენ, ძალიან საეჭვოა, როგორ შეძლებენ ინფორმირებული გზით აირჩიონ სადისერტაციო თემა, შეიმუშაონ ადეკვატური მეთოდოლოგია, ჩაატარონ კვლევა და გადადგან ყველა სხვა აუცილებელი ნაბიჯი (მათ შორის, კვლევის შედეგების გამოქვეყნება შესაბამის ჟურნალებში, რაც სავალდებულოა). შემოთავაზებული პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურას აქვს ეს პრობლემა და საკითხავია, რამდენად რეალისტურია სწავლის შედეგების მიღწების მოლოდინი, ასეთი კურიკულიმის მეშვეობით. ეს კრიტიკული პრობლემა შეიძლება გადაიჭრას იმ რეკომენდაციის განხორციელებით, რომელიც ქვესტანდარტ 2.1-ში ჩამოვაყალიბეთ, და რომელიც უკავშირდება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში და დანართები
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- განათლების მეცნიერებათა საფუძვლები უნდა იყოს პროგრამის სასწავლო გეგმის ბირთვი, რომლის საფუძველზეც, კურიკულუმში, განათლების კვლევისა და სწავლების მეთოდოლოგია შეიძლება განვითარდეს რეალისტურად და ადეკვატური ხარისხით. რაც უაღრესად მიზანშეწონილი კომპონენტი იქნება მათთვის, ვინც პროგრამაში ჩაირიცხა განათლების მაგისტრის ხარისხის გარეშე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	x	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კურსების/საგნების პრობლემა მჭიდრო კავშირშია მთლიანი სასწავლო გეგმის პრობლემასთან (ნაწილი 1.4). აკადემიური კურსების/საგნების შინაარსი შეესაბამება მათ სათაურებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრობლემა ისაა, რომ მთელ სასწავლო გეგმას აკლია ძლიერი სავალდებულო ელემენტი, რომელზედაც საჭიროა განათლების მეცნიერების პროგრამის აგება. სწორედ ამიტომ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, შესაძლებელია თუ არა პროგრამაში შემოთავაზებული აკადემიური კურსების/საგნების შინაარსით იმ სწავლის შედეგების მიღწევა, რომელიც აუცილებელია განათლების მეცნიერების სადოქტორო პროგრამის კონტექსტში. ეს იწვევს თავის შედეგებს, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო მასალებთან და მათ შესაბამისობასთან. პრობლემა არ არის კვლევის მეთოდოლოგიის და სწავლების მეთოდოლოგიის შემოთავაზებულ საგნებში, პრობლემა არის ე.წ. „ხიდის“ არარსებობა, რომელიც შესაძლებელობას მისცემს სტუდენტებს, რომლებსაც პრაქტიკულად არ აქვთ აკადემიური გამოცდილება განათლების მეცნიერებაში მიიღონ მყარი საფუძველი და მხოლოდ ამის შემდეგ შეისწავლონ აღნიშნული საგნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;

რეკომენდაციები:

- იმ სტუდენტების სწავლის შემთხვევაში, რომლებსაც არ აქვთ მაგისტრის ხარისხი განათლებაში, გადააწყვეთ სასწავლო გეგმა ისე, რომ სტუდენტებს ჯერ ჰქონდეთ საშუალება ისწავლონ ძირითადი საგანმანათლებლო-სამეცნიერო დისციპლინები, როგორიცაა ზოგადი განათლება, განათლების თეორია, ზოგადი დიდაქტიკა, შედარებითი განათლება, განათლების ისტორია, შემდეგ კი ამის საფუძველზე მიაწოდოთ სტუდენტებს კვლევასთან და სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული კურსები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☐	x	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც უკვე აღინიშნა 1.4 კომპონენტში, ჩვეულებრივ, ჩარიცხულ სტუდენტებს არ ექნებათ განათლების მეცნიერების მიმართულებით აკადემიური გამოცდილება (მათ უბრალოდ მოეთხოვებათ „საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება“), რაც შემოთავაზებული პროგრამის სპეციფიკაა.

პროგრამას აქვს დაშვების გამჭვირვალე წინაპირობები. პროგრამებში მითითებული წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. განათლების მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვისთვის არსებობს რამდენიმე საფეხურიანი პროცედურა. პირველ რიგში, განმცხადებელს უნდა ჰქონდეს მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხი განათლებაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, სოციალურ მეცნიერებებში, ბიოსამედიცინო მეცნიერებებში, სიცოცხლის შემსწავლოელ მეცნიერებებში, სამართალში, ან მაგისტრის ხარისხი ნებისმიერ სხვა სფეროში, რომელიც დაკავშირებულია ინტერდისციპლინურ კოჰორტულ კვლევასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შინაარსი შეიძლება მოითხოვდეს უფრო მეტ დაკონკრეტებას სხვა პროგრამებიდან შემოსული კანდიტების მიმართ განათლების მეცნიერების შესაბამისი გამოცდილებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, განმცხადებლების ინგლისური ენის კომპეტენცია უნდა იყოს მინიმუმ C1, რადგან პროგრამის სწავლების ენა არის ინგლისური. არსებული რეგულაციის მიხედვით, თუ აპლიკანტი ვერ წარადგენს მოქმედ სერთიფიკატს, უნივერსიტეტი ადგილზე ჩაატარებს ინგლისური ენის გამოცდას. მესამე ნაბიჯი არის გასაუბრება მიმღებ კომისიასთან. აპლიკანტები ამზადებენ სადოქტორო კვლევის იდეის მოკლე აღწერას - პროსპექტუსს, რომელსაც წინასწარ წარადგენენ და გასაუბრების დროს წარმოადგენენ თავიანთ კვლევით ინტერესებს.

უცხოური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს შეუძლია ისარგებლოს განათლების მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. სრული ინფორმაცია დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (https://newvision.ge/geo/phd-programs-2022/)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებაში
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- განათლების საბჭოს დებულება
- ჩარიცხვის კრიტერიუმები

რეკომენდაციები:

- დარწმუნდით, რომ აპლიკანტებს, რომლებსაც გავლილი აქვთ განათლების სფეროსგან განსხვავებული სამაგისტრო პროგრამა, მოეთხოვებოდეთ სხვა სახის რელევანტური გამოცდილება, როგორიცაა საგანმანათლებლო კვლევაში ჩართულობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	x	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგებისა და განათლების დონის მიხედვით, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას ან/და შემოქმედებითი/საშემსრულებლო უნარების განვითარებას და მათ ჩართვას სამეცნიერო/კვლევით პროექტებში. პროგრამის

პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო კომპონენტი პრინციპში ორგანიზებულია და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და შეესაბამება განათლების დონეს.

ეს უნარები პირველ სემესტრში ყალიბდება/იხვეწება სავალდებულო სასწავლო კურსით „საბაზისო ინსტრუმენტები სადოქტორო კვლევისთვის“. კურსის განმავლობაში სწავლების ძირითადი მეთოდია „სწავლა კეთებით“, რადგან სტუდენტმა უნდა წარადგინოს სადოქტორო კვლევის კომპონენტები. ასევე შემოთავაზებულია პროფესორის ასისტენტობის კურსი და დოქტორანტი მონაწილეობს არა მხოლოდ ლექციების მომზადებაში, არამედ უძღვება სამუშაო ჯგუფებს, აფასებს სტუდენტების ნამუშევრებს, მონაწილეობს კურსის სილაბუსის მომზადებასა და ადაპტაციაში.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი კომპონენტის სახით, პროგრამაში მოცემულია „სემინარი I“, რაც გულისხმობს კვლევითი ნაშრომის მომზადებს, რომელიც სადისერტაციო ნაშრომს არ უკავშირდება. ეს უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას სადისერტაციო ნაშრომისგან განსხვავებული მიმართულებით და უვითარებს სტუდენტს უნარს გააფართოვოს თავისი მსოფლმხედველობა კვლევითი სფეროს მიღმა;

დისერტაცია არის სტუდენტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგი და ის ასახავს თეორიული ან/და ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ქმნის ახალ ცოდნას, აღწერს სამეცნიერო სიახლეს და ხელს უწყობს სამეცნიერო სფეროს განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებაში და კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	x	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ თითოეული აკადემიური კურსის სილაბუსი ითვალისწინებს აკადემიური კურსის მიზნების მიღწევის ისეთ გზებს (მეთოდებს), რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზეა დაფუძნებული. თითოეული აკადემიური კურსის სილაბუსში გათვალისწინებული სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის შეძენაზე, არამედ უნარების განვითარებაზე. თითოეული აკადემიური კურსის სილაბუსში ასახული სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების დონეს და თითოეული აკადემიური კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლებისა და სწავლის მეთოდები, აკადემიური კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო სწავლების არსებული მეთოდების კომბინაცია უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

გამოყენებული სწავლების მეთოდებია სალექციო და საჩვენებელი მეთოდები, გუნდური და ინდივიდუალური სწავლების მეთოდები, ჯგუფური დისკუსიის მეთოდები, დამოუკიდებელი სწავლა და პრაქტიკული სწავლება, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებაში და კურსის სილაბუსები

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	x	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დოქტორის ხარისხის მიღწევის დონე სადოქტორო პროგრამის განხორციელებისას ფასდება "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3

ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. სასწავლო და კვლევის კომპონენტებში სტუდენტები ფასდებიან თითოეული კურსის სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმების (რუბრიკების) მიხედვით. სტუდენტების შეფასება თითოეული კურსისთვის არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს შესაბამისი კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რომელიც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით. უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული საგნები დაკავშირებულია შეფასების სხვადასხვა მეთოდთან. შეფასების მეთოდები მოიცავს ესეს, პრეზენტაციას, დისკუსიას, პრაქტიკულ დავალებას, დისკუსიაში მონაწილეობას და ა.შ. შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს აქვს საბოლოო შეფასების კონკრეტული წილი (100 ქულა), რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

კვლევის კომპონენტის შეფასების დებულება მოცემულია ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დოკუმენტებში „სადისერტაციო საბჭოს დებულება“ და „წესდება საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების შესახებ“. დისერტაციის დაცვის წინაპირობაა: ა) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ათვისება; ბ) ხელმძღვანელის რეკომენდაცია ნაშრომის საჯარო განხილვაზე მიღების შესახებ; გ) სადისერტაციო საბჭოს მიერ დანიშნული ორი შემფასებლის დადებითი შეფასება (შეფასებები უნდა იყოს თითოეული 60 ქულის 50%-ზე მეტი). პლაგიატზე შემოწმება დისერტაციის დაცვის წინაპირობაა. შემფასებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი უნივერსიტეტის პროფესორი, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი (სადისერტაციო საბჭოს დებულება, მუხლი 4.5).

დისერტაციის დაცვა ტარდება საჯაროდ სადისერტაციო კომისიის სხდომაზე. სადისერტაციო კომიტეტი გადაწყვეტილებას დისერტაციის შეფასების შესახებ იღებს ფარული კენჭისყრით დახურულ სხდომაზე. სადოქტორო დისერტაციის დაცვა ფასდება სადოქტორო დისერტაციის შეფასებისგან დამოუკიდებლად. დაცვის შეფასება უნდა შეადგენდეს 40 ქულის მინიმუმ 50%-ს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გაუგებარია შეფასების რა კრიტერიუმებს/რუბრიკებს იყენებს სადისერტაციო კომიტეტი. დისერტაციის დაცვის კომისია ზეპირად აცნობებს დოქტორანტს კომისიის დასკვნის (შეფასების) შესახებ.

კვლევის კომპონენტის (დისერტაციის) შესაფასებლად გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება; სადოქტორო დისერტაცია ითვლება დაცულად, როდესაც საბოლოო შეფასებაა:
91-100 ქულა - ფრიადი (summa cum laude);
81-90 ქულა - ძალიან კარგი (magna cum laude);
71-80 ქულა - კარგი (cum laude);
61-70 ქულა - დამაკმაყოფილებელი (bene);
ან 51-60 ქულა - საკმარისია (rite),

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი იყენებს Turnitin პროგრამას პლაგიატის გამოსავლენად, მაგრამ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ მათ არ იცოდნენ მისი არსებობისა და მუშაობის შესახებ. ასევე, ინტერვიუების დროს აღმოჩნდა, რომ გამოკითხულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა არ იცოდნენ, რა სტილზე უნდა დაიწეროს დისერტაცია. ასევე იყო სხვა გადაცდომები სტუდენტთა ინტერვიუებში (მაგალითად, როდესაც ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ყოველკვირეულად აქვს შეხვედრები თავის ხელმძღვანელთან, სადაც განიხილავენ დავალებებს, მაგრამ არ ახსოვდა, რა დავალება განიხილეს წინა კვირის სესიაზე... თუმცა, უნდა გავიმეოროთ, რომ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრაზე მხოლოდ ძალიან

ცოტა სტუდენტი იყო, ასე რომ, კოლეგიამ ვერ მიიღო უფრო ფართო მტკიცებულებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტს აქვს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი. ადგილზე ვიზიტის დროს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს ჰკითხეს აპელაციის პროცესის შესახებ და მათ აღნიშნეს, რომ არცერთ მათგანს არ ჰქონდა მსგავსი გამოცდილება, მაგრამ ზოგადად აღნიშნეს, რომ შესაძლებელია გასაჩივრდეს, მაგალითად, დისერტაციის დაცვის შეფასების შედეგი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა და სილაბუსი (დანართი #1)
- მარეგულირებელი დოკუმენტები (დანართი #7)
- აკადემიური პროცესის წესდება (დანართი 10)
- სხვა პროგრამების კურსდამთავრებულთა დაცული დისერტაციები
- https://newvision.ge/ka/research-and-resources/publications?open
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დარწმუნდით, რომ სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებულნი პლაგიატის საკითხებზე და იციან როგორ გაუმკლავდნენ მას სწავლისა და კვლევის დროს.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება	x	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია ჰქონდეთ მხარდაჭერა, ეფექტური საკონსულტაციო სერვისები. როგორც ჩანს, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი განყოფილებები და ისინი აღნიშნულ სერვისებს აწვდიან სტუდენტებს. ძირითადი განყოფილებებია: სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, კარიერის განვითარების ცენტრი და ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრი.

სტუდენტური მომსახურების ცენტრი აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ძირითადად სასწავლო პროცესის ძირითად ასპექტებზე, მათ შორის ინდივიდუალური სწავლის შესაძლებლობებზე (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა), რომელიც შეიძლება რელევანტური იყოს დოქტორანტურისთვისაც. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წინაპირობები ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის დებულებით.

კარიერის განვითარების ცენტრი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას სამუშაოს და სტაჟირების შესაძლებლობებზე და ეხმარება მათ დასაქმებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია დასაქმებისა და კარიერის განვითარების სხვადასხვა ვარიანტები, მათ შორის შესაძლებლობები როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის ორგანიზაციებში სხვადასხვა დონეზე და სფეროებში. ნიუ ვიჟენს აქვს არაერთი მემორანდუმი და სხვა ხელშეკრულება შრომის ბაზრის შესაბამის სუბიექტებთან და ისინი გამოიყენება ამ კონტექსტში.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს კურსდამთავრებულთა განვითარების პროგრამა, რომელიც კურადმთავრებულებს სთავაზობს კონსულტაციებს და კარიერული განვითარების შესახებ. ნიუ ვიჟენი აწყობს კარიერულ განვითარებასა და დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებს, რომელშიც მონაწილეობენ როგორც კურსდამთავრებულები, ასევე მოქმედი სტუდენტები. ეს ერთობლივი მიდგომა პოტენციურად მომგებიანია ყველა მონაწილისთვის.

ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრი სტუდენტებს ძირითადად ფსიქოლოგიურ, მაგრამ ასევე სამედიცინო კონსულტაციებს უწევს.

ნიუ ვიჟენი ასევე ითვალისწინებს თავისი სტუდენტების განსაკუთრებულ საჭიროებებს. სტუდენტები იღებენ რჩევებს, ხელმძღვანელობას და საჭიროების შემთხვევაში, სპეციალურ მხარდაჭერას, ზოგჯერ გარე სააგენტოების ჩართულობით. მხარდაჭერა მოიცავს გამოცდის მოდიფიკაციას, სპეციფიკურ ადაპტაციას სასწავლო და სწავლების პროცესებში, დახმარებას საცხოვრებელთან დაკავშირებით და ა.შ.

ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ სტუდენტური სერვისები ხელმისაწვდომი და მოთხოვნადია - როგორც ჩანს, სტუდენტები აქტიურად იყენებენ მათ.

სწავლის დაწყებამდე ახლად ჩარიცხულ სტუდენტებს ეძლევათ საორიენტაციო კვირა, რათა მიიღონ ძირითადი ინფორმაცია პროგრამის, სტრუქტურული ერთეულების, ადმინისტრაციისა და სტუდენტური სერვისების, ასევე სასწავლო პროცესის შესახებ. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ასევე გათვალისწინებულია ყოველწლიური შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან, სადაც, ნიუ ვიჟენი მოუწოდებს სტუდენტებს გამოთქვან თავიანთი შეხედულება და მიაწოდონ უკუკავშირი სწავლის პროცესთან დაკავშირებით.

თუმცა, ამის საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ ინტერვიუებმა გამოავლინა სტუდენტების ინფორმირებულობის დაბალი დონე სხვადასხვა პროექტში ჩართვის შესაძლებლობის შესახებ, მათ შორის მობილობით გაცვლაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- მემორანდუმები (დანართი #9)
- ნიუ ვიჟენის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის დებულება.
- https://newvision.ge/en;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დარწმუნდით, რომ ყველა სტუდენტი საკმარისად არის ინფორმირებული საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ, მათ შორის, მობილობებში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	X	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელონ სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების მხარდაჭერას სწავლისა და კვლევის შესასრულებლად. ნიუ ვიჟენის დოკუმენტაცია მიუთითებს, რომ არსებობს კვალიფიციური პერსონალი, რომელიც ემსახურება სტუდენტებს ამ კუთხით.

„საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების“ შესახებ ნიუ ვიჟენის დებულების 25-ე მუხლის მიხედვით, ცალსახად განსაზღვრულია სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა (ეს არ უნდა აღემატებოდეს 1/5-ს), რაც შეიძლება ჩაითვალოს გონივრულად. ხელმძღვანელთა მოვალეობები აღწერილია ზოგადი სახით. არ არის ნახსენები თანახელმძღვანელები. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ თანახელმძღვანელობა უაღრესად მნიშვნელოვანი ელემენტია ამ კონკრეტულ სადოქტორო პროგრამაში, ამიტომ ყურადღება უნდა მიექცეს თანახელმძღვანელების სამუშაოს, მათ ურთიერთობას ხელმძღვანელთან და ასევე სტუდენტთან. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია უფრო ყოვლისმომცველი რეგულაციების ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს ხელმძღვანელობის პროცესის ყველა ძირითად ასპექტს.

უნივერსიტეტი ატარებს გამოკითხვებს, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს შეაფასონ ხელმძღვანელის მუშაობა, მათი დახმარება და კონსულტაციები. სხვა პროგრამების კურსდამთავრებულებმა სწავლის ეს ასპექტები დადებითად შეაფასეს. გასაუბრებისას სტუდენტებმა ვერ მოგვაწოდეს ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით და განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონდათ ამის გამოცდილება.

მაგისტრების/ დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**0**
მაგისტრატების/დოქტორანტების რაოდენობა	**0**
თანაფარდობა	**0**

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი (დანართი #2)
- პროგრამის პერსონალის პირადი ფაილები (დანართი #3)
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები (დანართი #6)
- მარეგულირებელი დოკუმენტები (დანართი #7)
- სადისერტაციო საბჭოს დებულება (დანართი #10)
- დაცული დისერტაცია (დამატებითი საბუთები)
- https://newvision.ge/en
- https://newvision.ge/ka/research-and-resources/publications?open
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- დარწმუნდით, რომ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მის ყველა ძირითად ასპექტს, მათ შორის თანახელმძღვანელობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	x	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს ჰყავს კვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას შემოთავაზებულ სადოქტორო პროგრამაში. უნივერსიტეტს აქვს კარგად განსაზღვრული შინაგანაწესი, რომელიც შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური აკადემიური პერსონალის შერჩევას და ქმნის ღირსეულ სამუშაო გარემოს. უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა, კონკრეტულად მე-4 მუხლი განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის დატვირთვას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან. ამავე დოკუმენტის დანართ #1-ში მოცემულია ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის დატვირთვას. იმავეს ადასტურებს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დებულება საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს ოქმი #3-ით (დათარიღებული 2023 წლის 4 სექტემბრით), რომელიც განსაზღვრავს აკადემიური და მოწვეული ლექტორების და დამხმარე პერსონალის დატვირთვას. უფრო ზუსტად, დოკუმენტის მე-7 მუხლი ითვალისწინებს სტუდენტებთან კონსულტაციის საათების განაწილებას, რაც გულისხმობს კვირაში არანაკლებ ორ საათს და ადგენს უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დაკავების წესს, რაც უზრუნველყოფს შერჩევის სამართლიან და გამჭვირვალე პროცესს. გარდა ამისა, სხვა საკითხებთან ერთად, დოკუმენტში წარმოდგენილი იყო სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების კრიტერიუმები. დაბოლოს, უნივერსიტეტმა წარმოადგინა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული შრომის შინაგანაწესი #II/2022-11 ოქმი (4 Nov.2022), რომელიც არეგულირებს უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლის საერთო მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს და უზრუნველყოფს საქართველოს შრომის კოდექსთან შესაბამისობას.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი ადგენს სტუდენტთა და პერსონალის თანაფარდობას საგანმანათლებლო პროგრამის გამართულად განხორციელების უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტს შორის თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/20-ს. აკადემიური პერსონალის წილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთო რაოდენობაში არ უნდა იყოს 30%-ზე ნაკლები. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთო რაოდენობაში აფილირებული პერსონალის წილი არ უნდა იყოს 50%-ზე ნაკლები. მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა და მათ სამეცნიერო ხელმძღვანელთა თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/5-ს, როგორც უკვე აღინიშნა ამ ანგარიშის 3.2 ნაწილში, ხოლო ძირითადი ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტთა კონტინგენტს შორის თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/30-ს.

პროგრამის დოკუმენტაციის მიხედვით, უნივერსიტეტი ყოველ აკადემიურ ციკლში ათი სტუდენტის ჩარიცხვას გეგმავს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის სია ადეკვატურია პროგრამის განსახორციელებლად. უფრო მეტიც, აკადემიური პერსონალის რეზიუმეების ანალიზი ადასტურებს მათ კვალიფიკაციას სადოქტორო პროგრამაში გათვალისწინებული კურსების წარმართვისთვის. უნივერსიტეტი ეყრდნობა როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პერსონალის გამოცდილებას, რომლებსაც აქვთ შესაბამისი გამოცდილება განათლების სფეროში და სხვა შესაბამის დისციპლინებში. გამოცდილებიდან გამომდინარე, მათ შეუძლიათ ეფექტურად წარმართონ დოქტორანტთა ხელმძღვანელობა. პროგრამის აკადემიური პერსონალი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ეწეოდა შესაბამის სამეცნიერო მუშაობას.

ინტერვიუს დროს აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, პროგრამაზე მუშაობის მზადყოფნა. მათ განიხილეს მათი გამოცდილება და მოლოდინები უნივერსიტეტის მიმართ.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით** **დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	**10**			
- პროფესორი	8	8	8	7
- ასოცირებული პროფესორი	1	1	1	
- ასისტენტ–პროფესორი	1	1		
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი				_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის მართვის პოლიტიკა.
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად (ოქმი #3).
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის 2020 წლის ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და დოქტორანტურის როლებთან დაკავშირებით.

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული შრომის შინაგანაწესი ოქმი #II/2022-11
- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური პერსონალის სია
- რეზიუმეები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1. ადამიანური რესურსები	**x**	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს აქვს შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელების მოვალეობებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში. საგანმანათლებლო პროგრამის და დოქტორანტურის ხელმძღვანელებთან დაკავშირებით 2020 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაზე, განხორციელებასა და მუდმივ გაძლიერებაზე. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პროგრამის შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფას. უფრო მეტიც, პროგრამა სტუდენტებს გაუწევს კონსულტაციას აკადემიურ საკითხებში და უზრუნველყოფს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. ადგილზე ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელმა აჩვენა კვალიფიკაცია აკადემიური პროგრამის წარმართვისთვის. თუმცა, ცხადი გახდა, რომ მას არ ჰქონდა სრული ინფორმაცია პროგრამის დეტალების შესახებ და სრულად არ იყო ჩართული პროგრამის დოკუმენტის შემუშავებაში. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შერჩეული პირი არის დოქტორანტურის ხელმძღვანელობის

ძლიერი კანდიდატი, რეკომენდებულია, მეტი დრო დაუთმოს პროგრამის საფუძვლიანად გაცნობას და მის კონკრეტულ დეტალებს.

გასაუბრებების დროს აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა დოქტორანტების ხელმძღვანელობის ვალდებულება, თუმცა, მათ ასევე აღნიშნეს შეზღუდვები პოტენციური ხელმძღვანელების რაოდენობასთან დაკავშირებით. პოტენციურ ხელმძღვანელებად მიჩნეული პირები არიან მაღალკვალიფიციური, ფლობენ უახლეს ცოდნას და აქვთ ჩატარებული სამეცნიერო კვლევები შესაბამის სფეროებში. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის უპირატესობა მდგომარეობს მის ინტერდისციპლინურ ხასიათში, კატეგორიულად მიზანშეწონილია შემოთავაზებულ სადოქტორო პროგრამაში თანახელმძღვანელობის მექანიზმის ჩართვა. უაღრესად მომგებიანი იქნებოდა სტუდენტებისთვის ჰყავდეთ ხელმძღვანელი თავიანთ აკადემიურ სფეროში, თანახელმძღვანელი (ან პირიქით) კი იყოს განათლების მეცნიერებათა სფეროს პროფესიონალი. ეს მიდგომა უზრუნველყოფს დისციპლინებს შორის ოპტიმალურ სინერგიასა და ურთიერთშევსებას.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	**8**	**8**	**7**
- პროფესორი	7	7	7
- ასოცირებული პროფესორი	1	1	
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- 2020 წლის ანგარიში განათლების პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტებთან დაკავშირებით
- აკადემიური პერსონალის რეზიუმეები
- აკადემიური პერსონალის სია
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ სადოქტორო პროგრამაში არსებობდეს სავალდებულო თანახელმძღვანელობის უფრო ძლიერი კომპონენტი. შემოთავაზებული სადოქტორო

პროგრამის ინტერდისციპლინურობის გათვალისწინებით, სტუდენტებისთვის უაღრესად მომგებიანი იქნება, ჰყავდეთ ხელმძღვანელი განათლების მეცნიერებათა სფეროდან და თანახელმძღვანელი სადისერტაციო თემის შესაბამისი სფეროდან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, რომ პროგრამის ხელმძღვანელს მეტი დრო ჰქონდეს პროგრამის სრულად გათავისებისთვის და დეტალების გასაცნობად.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	x	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამა ახალია; შესაბამისად, პროგრამის მხარდამჭერი აკადემიური პერსონალის გამოცდილების პირდაპირი შეფასება შეუძლებელია. თუმცა, აკადემიური საბჭოს ოქმი #3-ით (26.09.2023) დამტკიცებული „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების შესახებ“ დებულების 7.2 მუხლი ადგენს, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვა მოიცავს სავალდებულო საქმიანობას აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი და საკონსულტაციო მიმართულებით. უფრო მეტიც, ამავე დოკუმენტის 7.4 მუხლი განმარტავს, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს უნივერსიტეტში გამოსაქვეყნებელი ნაშრომების მომზადებას, თარგმნას, რედაქტირებასა და განხილვას, კვლევითი პროექტების განხორციელებას, სამეცნიერო კონფერენციებში ჩართვას და ა.შ. ყოველივე ეს მიუთითებს უნივერსიტეტში არსებულ პრაქტიკაზე, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს აკადემიური პერსონალის განვითარებას და ხელი შეუწყოს მათ აქტიურ პროფესიულ ჩართულობას სხვადასხვა საქმიანობაში.

მეორე მხრივ, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის მე-5 მუხლი ასახავს კადრების შეფასების კრიტერიუმებს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფეროში და შემოთავაზებულია შეფასების სხვადასხვა მეთოდი. უფრო მეტიც, ამავე დოკუმენტის მე-6 მუხლში პირდაპირ არის საუბარი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგიასა და მიდგომებზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ

უნივერსიტეტის შინაგანაწესი ქმნის ხელსაყრელ გარემოს აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას აქვს მკაფიო ხედვა პერსონალის განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობისა და საშუალებების შესახებ, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას.

ინტერვიუს დროს პოტენციურმა აკადემიურმა პერსონალმა ისაუბრა მოლოდინებზე და თითქმის ყველამ აღნიშნა უნივერსიტეტის მხარდაჭერის მოლოდინი კვლევით საქმიანობასა და სხვადასხვა აკადემიურ/სამეცნიერო აქტივობაში მონაწილეობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	x	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ნებისმიერი სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც დაეხმარება მას ხარისხიანი ცოდნის შეძენასა და გაუმჯობესებაში.

დოქტორანტურის საფეხურიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტუდენტს ჰქონდეს სამუშაო ადგილი, და მატერიალური და ელექტრონული რესურსები. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა მოინახულეს აუდიტორიები, სამუშაო და სტუდენტური სივრცეები, რაც საკმაოდ დადებითად შეფასდა, რადგან ისინი აღჭურვილი იყო თანამედროვე ტექნიკით. მყუდრო და კომფორტული იყო სტუდენტების სივრცეც. ვიზიტის ფარგლებში ასევე მოვინახულეთ ბიბლიოთეკა, სადაც გადავამოწმეთ რამდენიმე ლიტერატურა. ექსპერტებს სურდათ შეემოწმებინათ ლიტერატურის ჩამონათვალიდან სამი მათგანი, მაგრამ ეს წიგნები ბიბლიოთეკაში ვერც ფიზიკურად და ვერც ელექტრონულად ვერ იპოვეს. მოგვიანებით, ვიზიტის დასრულებამდე მივიღეთ ორი მათგანის ელექტრონული ვერსია.

დაწესებულებას აქვს პლაგიატის გამოვლენის პროგრამა, კერძოდ, პროგრამა „Turnitin“, რომელიც მნიშვნელოვანია პლაგიატის პრევენციისთვის. დაწესებულებას აქვს "Turnitin" პროგრამის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დაწესებულებას აქვს საერთაშორისო ელექტრონული რესურსები, მაგალითად: EBSCO, HeinOnline, Elsevier, Scopus და ა.შ., რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის.

დაწესებულებამ მიიღო დამატებითი დოკუმენტები ლიტერატურის შესახებ, რომელიც მათ შეიძინეს Amazon-ზე. დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა გარკვეული სახის ვებბმულები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- Turnitin პროგრამის შეძენა;
- დამატებითი დოკუმენტები;
- https://newvision.ge/en ;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. მატერიალური რესურსები	x	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა წარადგინა სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ითვალისწინებს წელიწადში 10 სტუდენტის მიღებას; შესაბამისად, შემოსავალი და ხარჯი ამ დასაბუთების გარშემოა გათვლილი. როგორც წარმოდგენილი იყო, მოლოდინია, რომ პროგრამა იქნება თვითდაფინანსებადი. პროგრამის პროგნოზირებადი შემოსავალი შეადგენს 90 000 ლარს, ხოლო ხარჯები - 69 358 ლარს. შესაბამისად, პროგრამის მოსალოდნელი მოგება უნდა შეადგენდეს 20,642 ლარს (ანუ 6,880.67 წელიწადში). აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია ხარჯები პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის (30 000 ლარი) და სტუდენტების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისთვის (10 000 ლარი). შესაბამისად, თუ 10 სტუდენტის მიღება ძალაშია, პროგრამა იქნება მდგრადი და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის დოკუმენტები
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკო	x	☐	☐	☐

ლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

შესაბამისობა პროგრამასთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის საკითხებს ზედამხედველობს ხარისხის კულტურის კომიტეტი, "ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტის რეგლამენტის" შესაბამისად. ხარისხის ჩარჩო დოკუმენტის უპირველესი მიზნებია საგანმანათლებლო საქმიანობის მუდმივი გაძლიერება და ხარისხის კულტურის განმტკიცება დაწესებულებაში. ამ მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა სპეციალური რეგულაციები და ჩარჩოები, რომლებიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, მათი განხილვის პროცედურებს და პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

ხარისხის უზრუნველყოფის ეს ჩარჩო მოქმედებს „დაგეგმვა–განახორციელება–შემოწმება–მოქმედება“ (PDCA) ციკლის შესაბამისად, რომელიც მოიცავს ისეთ ეტაპებს, როგორიცაა პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, სასწავლო გეგმის განხორციელება, მიმდინარე მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი, რომელიც გულისხმობს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვებს აკადემიური მოსწრების შედეგების შეფასებასთან ერთად. შესაბამისად, ეს დასკვნები გამოიყენება იმისათვის, რომ განხორციელდეს შესაბამისი აუცილებელი კორექტირება პროგრამებში, როგორც ეს დეტალურადაა აღწერილი "ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტის რეგლამენტში", რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ისე ფაკულტეტი აქტიურად ერთვება სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგში, უპირველეს ყოვლისა, ტარდება მიზნობრივი ჯგუფის გამოკითხვები და სესიების სისტემატური დაკვირვება. ეს კვლევები აფასებს ისეთ ასპექტებს,

როგორიცაა პროგრამით კმაყოფილებას, სწავლის შედეგებს, მართვის პროცესებს, ინფრასტრუქტურას, განვითარების საჭიროებებს და აკადემიური პერსონალის შეფასებას. შეგროვებული მონაცემები საფუძვლიანად გაანალიზებულია ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისთვის, პრობლემების დაფიქსირებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მოსაძებნად.

გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად სთავაზობს კონსულტაციებს აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებზე. თვითშეფასების ანგარიშიდან ხაზგასმით გამოკვეთილად ჩანს აკადემიური/მოწვეული პერსონალის აქტიურ ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში, დამსაქმებლის ჩართულობის დადასტურებით (მათ შორის, ვრცელი ბაზრის კვლევა), როგორც ღირებული აქტივი პროგრამის გაძლიერებაში. თუმცა, მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ინტერვიუზე მოსულ დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებს შორის - მიუხედავად იმისა, რომ მათი რაოდენობა შეზღუდული იყო – შეინიშნებოდა პროგრამის შინაარსის, ლოგიკისა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ ცოდნის შესამჩნევი ნაკლებობა. ეს ნაკლები ცოდნა ეხებოდა ისეთ ასპექტებს, როგორიცაა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, მონიტორინგის პროცედურები და სტრატეგიული განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირება. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და ხანდახან აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შორის.

სამაგიეროდ, ხაზგასასმელია ამ პროცესში ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური და თანამშრომლობითი ჩართულობა. მათი ჩართულობა იყო თვალსაჩინო და თანამშრომლობაზე დაფუძნებული, რაც შეიძლება ჩაითვალოს სანიმუშო პრაქტიკად.

მუდმივი გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს უამრავ ღონისძიებას და ტრენინგს, რომელიც ორიენტირებულია უნივერსიტეტში პროგრამის შემუშავებისა და სასწავლო პროცესის დახვეწაზე. მთლიანობაში, უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები კარგად არის ჩამოყალიბებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება (https://newvision.ge/en/page/1-vision-and-strategy/quality-assurance/)
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაინტერესებულ მხარეთა უფრო ფართო ჩართულობის ხელშეწყობა პროგრამის შემუშავებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ყველა ეტაპზე.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	**x**	☐	☐	☐

5.2 გარე ხარისხის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი აქტიურად აერთიანებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, ხაზს უსვამს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესებს. დაწესებულება მჭიდრო თანამშრომლობას ინარჩუნებს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დროს ჩატარებული გარე შეფასებების პარალელურად, უნივერსიტეტი თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ექსპერტებთან შესაბამის სფეროებში პროგრამის შეფასებისთვის. ამჟამად წარმოდგენილ აკრედიტაციის პაკეტს თან ერთვის გარე ექსპერტთა დასკვნაც.

განათლების მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ პირველადი აკრედიტაციის პროცესი 2021 წელს გაიარა, რომლის დროსაც პროგრამამ მიიღო რეკომენდაციების პაკეტი (თოთხმეტი რეკომენდაცია) და პირობები. აღსანიშნავია, რომ იმ დროისთვის გაცემული ყველა რეკომენდაცია განხილულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) მიერ, თუმცა ზოგიერთ მათგანს შეიძლება დასჭირდეს შემდგომი გაუმჯობესება, რაც ასახულია ექსპერტის ამჟამინდელ ანგარიშში (მაგ., დოქტორანტურის რეგულაციების გაუმჯობესება...).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- გარე ექსპერტთა ანგარიში;
- შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის რეგულაციები

- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	x	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შესახებ ინფორმაცია და სახელმძღვანელო პრინციპები მოცემულია პროგრამის დებულებაში. კონკრეტულად, ეს დოკუმენტები განსაზღვრავს პროგრამის ინიცირების, დამტკიცების, მოდიფიცირებისა და პერიოდული შეფასების პროცედურებს.

თითოეული პროგრამა აყალიბებს პროგრამის განვითარების სპეციალურ კომიტეტს, რომელსაც ევალება განსაზღვრული პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასება და ანალიზი. შესაბამისად, პროგრამის შედეგების შეფასება პერიოდულად ხდება როგორც პირდაპირი, ისე ირიბი მეთოდებით.

პირდაპირი შეფასების მეთოდები მოიცავს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებას და „ადრეული დიაგნოსტიკის ინსტრუმენტის“ დანერგვას, როგორც შეფასების პროცესის ნაწილი.

არაპირდაპირი შეფასების მეთოდები მოიცავს პროგრამაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის პერსპექტივების შეფასებას, როგორიცაა: ა) სტუდენტები ბ) პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი გ) დამსაქმებლები დ) პროგრამის კურსდამთავრებულები.
დანერგილია რამდენიმე ინსტრუმენტი პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად:

- კითხვარები განკუთვნილია:

    - სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო კურსების ან/და პროცესების შეფასებისთვის ელექტრონული ბაზის საშუალებით
    - სტუდენტთა კმაყოფილების შესაფასებლად
- დოქტორანტებისთვის მორგებული თვითშეფასების კითხვარები
- დოქტორანტების კოლეგიალური შეფასება
- ნაშრომების გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალებში
- მოდულის/კვლევის კომპონენტის ხელმძღვანელთა შეფასება

განათლების მეცნიერების სადოქტორო პროგრამა იცავს და შეესაბამება ყველა მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელიც დადგენილია უნივერსიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. თუმცა, არსებობს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერების შესაძლებლობა, რათა უკეთ შეესატყვისებოდეს და შეესაბამებოდეს პროგრამის სპეციფიკას. დამატებითი განხილვა და რჩევა ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ კომპონენტში - „1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება;
- კვლევის შედეგები და ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	x	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	x	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	x	☐	☐	☐
3 სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x	☐	☐	☐
4 სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x	☐	☐	☐
5 სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობებ	x	☐	☐	☐

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
მილან პოლი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები
ქეთევან აფთარაშვილი
მარიამ ბანძელაძე
თამთა ლეკიშვილი
ლიანა ზაგაშვილი